


572
1986

1986
საქართველოს
განათლების
მინისტროს





Երբ ես եմ ընտելացնում
զմեռյալ հողերս, երբ ես
զմեռյալ հողերս ընտելացնում
գալիս եմ իմ հայրենիքս
զմեռյալ հողերս ընտելացնում



გვებრუნებელი კოდალები

10281

გადმოიფრენენ ზამთარში კოდალები კიე-კიეთით. აბა, პაპას ჰკითხე, რას იმახიან-თქო კოდალები, პაპა, ამ დროს? — დარით, დარით. მაგათაც დარი ენატრებათ, მაც სანყლებსო. — მოგიგებთ პაპა.

რატომ ენატრებათ დარი, რატომ არიან სანყლები კოდალები? აი, რატომ.

ბუდობენ კოდალები ღრმა და თბილ ფულუროში. ფულურო წმინდა, რბილი ბალახებით აქეთ მოგებული. შეფრინდებიან ორნი, დედალ-მამალი, ჩახრიან ფეხებს, მიეხუტებიან ერთმანეთს და არიან თბილად. მაგრამ როდემდე იქნებიან ასე? მოშივიდებათ და გამოფრინდებიან გარეთ. გარეთ კი ზამთარია, თოვლია, ყინავს...

ზაფხულშიც ბევრს ნვალობენ კოდალები. ზაფხულში ბარტყებს ზრდიან. ბარტყებს პირები სულ ღია აქვთ. ჩაუშვით, რამდენი მატლიც გნებავთ იმ ღია პირებში, გადასანსლავენ უმალ. მაგრამ ზაფხულის სითბობაში ხეების ჭიაღვრა ღრმა ხვრელებიდან მალღალა ამოსული, უმთავრესად ხის თხელი ქერქილა ფარავთ. საკმარისია, ცოტაზე აგლიჯოს ის თხელი ქერქი კოდალამ, უცებ აღმოაჩენს რამდენსავე მატლს ერთად. მიდი მერე და სანსლე, ანდა მოასწარი ბარტყებთან მიზიდვა...

ზაფხულში ჰაერშიც იჭერენ კოდალები მწერებს.

ზამთრის ყინვებში კი სხვაა. ზამთრის ყინვებში ხეების ჭიაღვრა ღრმად არის ჩამჭვრალი ხვრელებში. თან ყველას მიძიმე მილქუშით სძინავს. ჯერ უნდა აკაკუნო, აკაკუნო, რომ ჭიამ გაიღვიძოს და მისმა ჩუჩუნმა ვაგაგებინოს, ის იქ არის, ამაოდ არ ჩავივლის გარჯა. მერე უნდა მისდგე და მთელი ძალით უხათქუნო ნისკარტი. როგორ უნდა უხათქუნო, იცით? ყოველ დარტყმაზე ყბები და საფეთქლები უნდა გეტკინოს. ზოგჯერ დილიდან საღამომდე მოგიწევს ბრძოლა და იმ დროს ჩააღწევ მატლამდე, მთლად გადაოგნებული რომ ხარ, ჭამის თავიც აღარ გაქვს...

კიდევ კარგი, თუ ყინვა მშვიდია. საშინე-



მხატვარი ელზარდ ახვლეტიანი

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ლებდა ქარიანი ყინვა. ქარი კოდალას ხეზე არ აჩერებს. ებლაუჭება კლანჭებით ხეს, ებჯინება მაგარი ბოლოთიც. აძრება, ებუხება ფხვები. თავ-კისერი გახურებული აქვს მუშაობისგან, ფხვები კი უშემდეგა, ცოტაც და ვეღარ შეიკავებს თავს. აფრინდება, დაფარფატებს, დაფარფატებს და მერე ისევ შეწყვეტილ საქმეს დაუბრუნდება. გაბრაზებულია ხეზეც და მატლზეც. უფრო ღონივრად უხათქუნებს ნისკარტს. ზოგჯერ ისე ღრმად ამოღრუნტის ხეს, შიგ მთლიანად ჩადის, ბოლოც კი აღარ მოუჩანს შავად.

ზამთრის საღამოს დაქანცულნი, ნიათგამოცლილნი უბრუნდებიან კოდალები თავიანთ ფულუროს. აღარ უნდათ ერთმანეთის შეხედვა. გული თითქოს საფეთქლებთან პქონდეთ, იქ ფეთქავს გული... და სტიკვათ, სტიკვათ თავი. დაანვებიან უბით დამძრალ

ფხვებს, ითბობენ. მერე, როდის-როდის, მიწყულებენ მტიკივან თავებს ერთმანეთს, და არიან ასე, თვალდახუჭულნი. გული კი განაგრძობს ფეთქებას.

დილით ისევ გამოფრინდებიან გარეთ. — დარი, დარიო, — იხვენებიან კიკვივით. მერე კვლავ მისდგებიან ხეებს და უხათქუნებენ ნისკარტებს.

და, იცით, კიდევ რა? თუ როგორღაც არეულად მოფრინავს რომელიმე კოდალა, თურმე ნუ იტყვივით, ეს არის ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ საბრალოს ტვინი აქვს შერყეული ხეზე ნისკარტის გადამეტებული ძალით ცემისგან.

რით მთავრდება ხოლმე ეს ტვინის შერყევა, ჩვენ არ ვიცით. ეცოდინებათ, ალბათ, ბებერ, ფულუროებიან ხეებს.

ანატოლი მარაბა

შაგი და მაჩვი

ფატი, ჩვენი თვალმაუვალა, ჰაწაწინა ფატი, იცით, უწინ ჭირვეული იყო, როგორც მარტი. როცა მარტი გვეწყოდა, ჭირვეული მარტი, ვიცინოდით: აი უკვე გევაგს მეორე ფატი. მაგრამ წელი გავიდა და სულ სხვა გახდა ფატი, იქნებ მარტიც გამოსწორდეს ჭირვეული მარტი.



მხატვარი ბენო ზიდაშელი



გიორგი ბაგრატიონი

ილია ჭავჭავაძე • 150 •

ილია ჭავჭავაძის სმობრაება

გამგედი. „ოთარაანთ
ქვივი“. სოფელი ღა
სოფლიაღი



ავშეებო! ამ ფოტოსურათზე ილია ჭავჭავაძის გამგედი სალომე ლოლაძე უკვე მოხუცი ქალია, მაგრამ როცა ილიას ნათლიას დავით ერისთავს ის ქართლიდან ილიას მამის ოჯახში გადამოუყვანია, რვა თუ ცხრა წლისა ყოფილა. სალომე იგონებს: მაშინ ილიაც ჩემი ხნისა იქნებოდაო. პატარა სალომე ილიას დაძმებთან ერთად არბოდა ყვარელში მამაპაპური კოშკის საფეხურებზე, მათთან ერთად შეჭყურებდა თონეში აბრიალებულ ფიჩხს და მიტოპავდა დუ-

რუჯის წყალში, რომლის ტოტიც ჭავჭავაძეების სახლ-კარზე ჩამოდიოდა. პატარა ილიკოსთან ერთად ყურს უგდებდა წისქვილში დოლაბის ხმაურს და სარეკელას რაკუნს ან თავლაში ცხენების — დუგანასა და შარაბანას ჭიხინს...

ყვარელში უთუოდ იქნებოდა ილიას ბავშვობაში ოთარაანთ ქვრივისნაირი შავკაბიანი, თავზე შავმანდილოხვეული დედაკაცი, რომელსაც ჭავჭავაძეების ბავშვები სშირად ხვდებოდნენ სოფლის ორღობეში, ანდა ტყრუშული ღობის ჭუჭრუტანიდან შეჭყურებდნენ, როცა ქვრივი თავის ხელით ბარავდა, თოხნიდა, მარგლიდა, თესდა და კრეფდა. იქნებ ატირებულ და გაჭირვებულ პატარა ილიკოს და მის დაძმებს ამ სიტყვებით აჩუმიებდნენ კიდევ: — „ნუ ტირი, თორემ ოთარაანთ ქვრივი გაიგონებს და აქ გაჩნდებაო...“

ბავშვებს ალბათ ისიც დაუნახავთ, სოფლის განაპირად მდგომ ერთ წვრილ-შვილიან დედაკაცს როგორ გადაუტანდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი ათიორ შოთს, ერთ ბაღია კორკოტს და თან როგორ გათათხავდა; ანდა მათხოვარს გასაკითხს რომ მი-

ანვიდა, თან როგორ მიავოლებდა: „აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზე. შე ოხერო, რომ ავიღია თავი და დავხებები სათხოვნად, ნამუხი აღარა გაქვსო?...“

უთუოდ თავისი თვალთუნახავთ ბავშვობაში პატარა ილიკოსა და მის დაძმებს თავლაში მომხდარი ის ამბავი, მერე ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ რომ აქვს აღწერილი:

ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი თავლაში შევიდა და დაინახა, რომ მეფინიბეს ცხენი ოფლიანი დაემა. თვითონ პირაღმა გაშოტილიყო ტახტზე და ყალიონს ეწყოდა. გიორგიმ უთხრა: „ცოლო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგებამს, ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზე წყალს





მხატვარი ელსარე ამოიკაძე

მანც გადაავლებდი. ხომ ნახხ ცხენი...“ მეჯინი-ბემ არხენინად უპასუხა: „არამკითხე მოამბეო, მიტყევე და მიაგდეო...“ და ყალიონი გააბოლა, „ვერც მიმტყიპავ და ვერც მიმაგდეო“, უთხრა გიორგიმ და ცხენის ასაშეებად მივიდა, რომ პატარა გაეტარებინა და ოფლიან ზურგზე წყალი გადაეკლო. „ნადიო, ვილაც მოთრეულხარო“. — დაუძახა მეჯინიბემ გიორგის. გიორგის გული მოუვიდა, გადმოიღო მეჯინიბე და ურტყა და ურტყა.

უთუოდ თავისი თვალთ უნახავს პატარა ილიას ამ მოთხრობაში აღწერილი მეორე ამბავიც:

ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ურმით საფეკვაი მოჰქონდა თურმე, ურმისთვის თავსუბუქად დაედო და კამეჩებს ავეურები ისე წასჭეროდათ ყელში, რომ ხრიალუბდნენ. ამხტარაოთარანთ ქვრივის გიორგი ურემზე, საცალოები ნაუწევე-ნამოწევეია, გაუმართავს ურემი და მოჯამაგირისათვის ერთი ლაზათიანად ჩაუთხლესია თავში.

იმვე მოთხრობაში აღწერილი ერთი ამბავი კი უთუოდ თვით პატარა ილიას შეემთხვეოდა:

„ერთხელ — ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივს იქნებოდა — ერთს მოწრილ ბიჭს თავისზედ

პატარა ბიჭისათვის ქამრის ღილები დაეტყუენა. მოტყუებული ბალლი ტირილით იჭაჭებოდა და ის კი ღილებს არ უბრუნებდა. გიორგიც მაშინ იქ ყოფილიყო და ბალებთან პთამაშობდა თურმე. ყური მოჰკრა ბალლის გულამომჯდარ ტირილსა. შეიტყო მიზეზიცა და აემღვრა პანანა გული. დაანება თავი თამაშობას და მივარდა ღილების დამჩემებულს: მიეცი, რას ემართლებიო. იმას ხელი ეკრა მეტიჩარასათვის და გადაექცია. გიორგი ნამომხტარიყო და ქვა დაემინა. მივარდნოდა ურჩი ბიჭი, ხელახლად ნაექცია გიორგი და ცემა დაენყო, მიშველებოდნენ გიორგის სხვა ამხანაგები,

ამოედოთ ქვეშ გიორგის მცემელი, წაერთმიათ ღილები და კარგადაც დაეზიდათ. თუმცა პატარა ბაღს დაუბრუნეს წარმოსული ღილები, მაგრამ გიორგი კი კარგად იყო დაბეგვილი. ცხვირი გაეტეხნათ და სისხლი სდიოდა, წითელი გულისხირი სულ ჩამოეფხრინათ“.

პატარა ილიას და მის დაძმებს ამ კალოზედაც უბრუნებიათ: „ჭის კარიდან იწყება კალო... მისი ბურთ ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორახავით განოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან თავდებოდა. საბძელი იყო სასაცილო, ისე სულელურად ჩაფიქრებული და გვერდნაწული მარტო ფრთამოტეხილი ბატი თუ მინახავს. ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა ამ ბურთზედა: აქ ხშირად უქეიფნით ხრუტუნით ნებიერს ღორებს; თავის ფაფუკის დინგით ბევრჯერ უთხრონათ ეს სურნელი ბურთ, ისე

გულმოდგინებით, ისეთის სინაზით, ასე გგონია — მართლა და ღორები იყვნენ!.. იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ ნაწუთავაზებით დინგით. რა ყვირილი და ჭყვილი ატყდებოდა ხოლმე!“

ილიას მოთხრობებში გაცოცხლებულია მისი ბავშვობისდროინდელი ყვარელი: სოფლის მოედანზე მდგომი გზირი და იასაული, სახრიო ხელში ურემზე მჯდომი ომანანათ ან ბეჟანანთ მოჯამაგირე, თავლაში შესული მესბორე ბიჭი, აზლუქუნებული სოსია მენისქვილე, თივის ზვინზე ასული პეტრე, ავადმყოფთან მიმავალი ჯარაბეიმი, ოფოფანთ დემეტრე...“

„ოთარანთ ქერივში“ ილია წალმით გადახურულ მარანს აღწერს, წალმით გადახურული მარანი ჭავჭავაძეების ეზოშიც იდგა. წალმით გადახურული მარანი ზაფხულში ღვინოს ციკვად ინახავდა. ამავე მოთხრობაში ილია აგვი-

წერს იმ ნივთებს, რომლებსაც იგი ბავშვობაში ყოველდღე უყურებდა: „კერის აქეთ-იქით ტახტია დაფენილი ჭრელის ფარდაგებითა. კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები... კუთხეში ერთი კიდობანია... წინა პირზედ გამოხარატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილხვეულები სილამაზისათვის“...“

ამავე მოთხრობაში ილია აცოცხლებს თავისი ბავშვობის ღამეს: „ღამე კი მოდიოდა. დიდ-ვახშმობას გადასცილდა, სმაურობა მიწყდა, მარტო კუთხეში, პურის კიდობანთან თავი აფხაკუნდა...“ გვიანი მთვარე კი მთის წვერზედ შედგა და პირიქით გადაქანებას აპირებდა. აგერ გადაექანა კიდევ და ჩავიდა. ღამე მიქნურა. უფრო დაბნულდა, ძვეყანა უფრო გაჩუმდა, უფრო დამუნჯდა. ხოლო თავი ისევ ცრდილოდბა კიდობანთან...“


ილია ახახახაძე



იკეთით სმლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა: სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა.



აბად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ეოგულ დღესა შენს თავს ჭკითსო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე?





უზანა სახლთსუცხოვილი

მხატვარი თამარ ფხიკია

როგორც კი ბავშვი ენას ამოიღვამს, განუწყვეტლივ უსვამს უფროსებს კითხვებს: რატომ? საიდან? რისთვის? როგორ? ეს ადამიანის თვისებაა, ადამიანური მისწრაფება, იცოდეს რაც შეიძლება მეტი გარესამყაროს შესახებ, ყველაფრის შესახებ, რაც მის ირგვლივ ან თვითონ მასში ხდება, რასაც გრძნობს, ხედავს, ისმენს... რაიმე ახლის გაგების, ანუ ინფორმაციის მიღების საფუძველზე კი მას უგროვდება გამოცდილება. მაგალითად: ბავშვმა თამაშის დროს ცხელ ლუმელს რომ მოახვედროს ხელი და დაიწვას, გაიგებს, რომ ლუმელს ტკენა შეუძლია. შეიძლება უფროსებისაგანაც იცოდეს, რომ ლუმელი საშიშია, როცა შიგ ცეცხლია. ახლა კი ბავშვმა უკვე გამოცდილება მიიღო, ინფორმაცია დააგროვა, და მეორედ ცხელ ლუმელს აღარ

მიეკარება.

ჩვენს დროში რადიოთი და ტელევიზიით თუ სხვადასხვა ხასიათის ჟურნალ-გაზეთებით ადამიანს იმდენი ინფორმაციის მიღება და გადამუშავება უხდება, რომ ეს მის შესაძლებლობებს აჭარბებს; ამიტომ დღის წესრიგში დადგა საკითხი, დახმარება გავწიოს ადამიანს ინფორმაციის მიღებასა და დამახსოვრებაში.

საკირო გახდა ხელოვნური მეხსიერების შექმნა, ესე იგი გონების ფუნქციათა ავტომატიზაცია, რაც ხერხდება ელექტრონული გამომთვლელი მანქანების (ეგმ) საშუალებით. მათ ძალუძთ მიიღონ და დამახსოვრონ აურაცხელი ინფორმაცია.

გამომთვლელი მანქანები ახალგაზრდა მეცნიერების — კიბერნეტიკის ტექნიკური ბაზაა.

კ ი ბ ე რ ნ ე ტ ი კ ბ

„კიბერნეტიკა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მესაქვს, „მმართველს“. ეს სიტყვა პირველად ნახსენები აქვს ძველ ბერძენ ფილოსოფოსს პლატონს.

როგორც მეცნიერება, კიბერნეტიკა ჩვენს საუკუნეში ჩამოყალიბდა. მისი დაბადების წელი ითვლება 1948 წელი, როცა გამოვიდა ამერიკელი მეცნიერის ნორბერტ ვინერის წიგნი „კიბერნეტიკა ანუ მართვა და კავშირი ცხოველსა და მანქანაში“. ასეთივეა კიბერნეტიკის ტრადიციული, უმარტივესი განმარტება: ეს არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს მართვისა და კონტროლის კანონებს ცოცხალ ორგანიზმებსა და მანქანებში. თქვენ კარგად იცით, ბავშვებო, რა არის ცოცხალი ორგანიზმები — ადამიანები და ცხოველები. მანქანებში კი ვგულისხმობთ ყოველგვარ ავტომატურ მექანიზმებს.

ახლა გავერკვეთ იმაში, თუ რა არის მართვა და კონტროლი. ადამიანს ყოველდღე, ყოველ წუთს უხდება მართოს რაღაც — საკუთარი ქცევები, სხვადასხვა ხელსაწყოები ან აპარატები.

გავიხსენოთ სათამაშო, რომელშიც მიკი მაუსი კვერცხებს იჭერს. ეს არის პატარა, ხელისგულისოდნვა მოწყობილობა, რომლის ეკრანზეც ჩანს მიკი მაუსის გამოსახულება. ეკრანის ორივე მხარეს, თითოეულზე ორი ქანდარაა. ქანდარაზე მჯდომი ქათმები კვერცხებს „დებენ“. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქანდარიდან მოგორავს კვერცხი. აბა, გაიხსენეთ, როგორ იქცევით, რომ რაც შეიძლება მეტი კვერცხი დაიჭიროს მიკი მაუსმა?

თქვენ გაფაციცებით აღვყნებთ თვალს ეკრანს. ცდილობთ, ზუსტად განსაზღვროთ, რომელ ქანდარაზე უფრო ადრე დაგორდა კვერცხი და, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კვერცხს უფრო ადრე სჭირდება კალათის შეშვება, თითს აჭერთ შესაბამისად მარცხენა ან მარჯვენა, ზედა ან ქვედა ლილაკს. და მიკი მაუსიც ელვის სისწრაფით დახტის კალათით ხელში. ამ შემთხვევაში თქვენ მართავთ სათამაშოს.

ახლა რა არის კონტროლი?

აი, ვთქვათ, თქვენ დააჭირეთ თითი მარჯვენა ზედა ლილაკს, მაგრამ მიკი მაუსი აღდგ-

ლიდან არ დაბრუნდა. თქვენი ტენი განაწილებს შექმნილ მდგომარეობას, მიხედვით, რომ საქმაო ძალით არ დაგიჭერიათ თითი ლიდაკისათვის. ამიტომ შეეცდებით უფრო სწრაფად და უფრო ძლიერად დააჭიროთ თითი, რომ მიკი მაუსმა მოასწროს კვერცხისათვის კალათის შეშვება. ახლა ამოწმებთ, შეასრულა თუ არა ბრძანება მიკი მაუსმა. სწორედ ეს არის კონტროლი.

კონტროლის მეშვეობით ხდება შეცდომების აღმოჩენა. ადამიანმა შეიძლება კონტროლი გაუწიოს თავის, სხვა ადამიანის ან ადამიანების ქცევებს, ანდა მანქანებს; მანქანის კონტროლის მოწყობილობამ კი — მის რომელიმე ნაწილს...

კიბერნეტიკა სწრაფად ვანითარდა საბჭოთა კავშირში. პირველი ქართველი კიბერნეტიკოსი კი ვლადიმერ ქავჭავანიძეა. მისი თაოსნობით 1957 წელს თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა პირველი კიბერნეტიკული ლაბორატორია. შემდეგ კი მის ბაზაზე დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი. ინსტიტუტის ლაბორატორიებში თანამედროვე გამომთვლელი მანქანები დგას. აქ მუშაობენ ახალი მოაზროვნე მანქანების მოდელების შექმნაზე, ამუშავებენ პროექტებს ფაბრიკა-ქარხნებში რომბობების დასაწერად და სხვა.

შემდეგ საუბრებში, ბავშვებო, გაგაცნობთ კიბერნეტიკულ მანქანებს.





იკინე უზვანიძე

გვარია ჭეთინო

პაწაწინა ჭეთინო
ღვღას ხელ თან დაჭეუება,
ახლაც ჰლანტაციაში
ახლაც ჩაის საკრუფად.
ბა რღა კოცია
ჭეთი ცინფეროვლებს,
ღვღას ჩაის კრუფში
თუ არ მიუხსნება.

ლია ჯაბრძა

ასოთამწყობი

თუ ეინახეთ ტვეისნაუნ
ჩაისხმული ასოები,
სტამბაში რომ ასოთამწყობს
აუკინავეს სასოებით.
აქ სულ სხვა ტვეის ბედი,
დაივიწეს თოფის ღუღა,
მშვიდობიან შუშის ხელში
სიტვეის კონად ჩაისხმულა.
იბადება მურე წინად,
ათის ახლად ამბავს ვაამცნობს,
გაუმარჯოს ხელმადლიან
და ჯადოქარ ასოთამწყობს.



მთავარია ბერიძე

გვამ, გვამ, ბრიალავ

ნეტა როდის ახელ
მაე თქროსფერ თვლებს,
მშეო, მშეო, ბრიალავ
ამბორწინი მალე
მოთოშნებად მოცეღის
ჭაღად კორდის მდელიც.
ამო, განაჩანსე
ტურთა საქათველი.

გვეს



თაბაჩა ავალია

წყაროვნი

შუხის ჩრდილქვეშ, ვიწრო ხევეში,
მოღვივლებს ციფი წართ,
შუღასტყულა სურთი ხელში
მოცნტყულა ვეღვან,
ჰა, ჰეღვლები აუღვან,
— ვიწო შეხეთ ამასო!
რე ღვამწი მოვო არის,
შერეს შის ღღ-შამასო!..

ნუნა ქავთაძე

ვის მოჰყავს გაზაფხული!

- გაზაფხული ვის მოჰყავს?
- მშე მოთაფრეს მხრებით,
ციითება კორდებო
ია-ენსვლებით.
არე-მარე მწვანდება,
ხნულში თუსლი დვიუს,
- გაზაფხული ვის მოჰყავს?
- ჰარებინს ღვიღს.



თინა ჩიკოვანი

ერთხელ

ერთხელ ბებო დიდი ჭვებით
ფელაჭეში მოადღა
და სტუმრებად მიცაწეა
თვა, მართა, მე და ტუზა.
ჯერ ველოდეთ ერთსანს,
ფელაჭეში იყო ცხელი,
და მერე კო, რა თქმა უნდა,
ტუმროლად გვახელო.



გიორგი ავალიანი

რქაფინალა თხას ერქვა. თეთრ, ვრძელ-კისერა და თვალუმჭროლა თხას დაარქვა ეს სახელი ბაბუა ივამ იმიტომ, რომ წვეტიანი რქები ფინალის თითებივით მალლა და გრძელად ჰქონდა აშვერილი.

ბაბუა ივას ძალიან უყვარდა თხები. ადამიანისათვის ამაზე უფრო სასარგებლო საქონელი არ არისო, ამბობდა. თვითონვე მწყემსავდა და უვლიდა. მხოლოდ კვირადღით გააყოლებდა ხოლმე გიოს, თუ კარგი ამინდიც იდგა. თვითონ კი შინ სხვა საქმეებს აკეთებდა, რის ვაკეთებაც გიოს არ შეეძლო — ჯერ ხომ ის ათი წლისაც არ იყო.

მარტის მინურულის იმ კვირადღესაც თხები გიომ გარეკა სამწყემსურში.

— სურელას კლდის თათან რომ დიდი სოჭი დგას, იქ მირეკე, შვილო. იქ გუშინ ერთი დიდი რცხილა ჩამოვუსხიბე, ნახევარიც კი ვერ შეჭამეს ნეკერი და დღეს ეყოფათ საკვებტად. სოჭიდანაც ბევრი ჩამოვუყარე ფითრი და ისიც ვერ გაათავეს. ფითრი მენველ თხებს აჭამე. სხვები ნეკერზე მიუსვი. კარგად გეჭიროს თვალყური, მეტადრე რქაფინალას მიხედე, მაკედა და შეიძლება აგერ-აგერ მოიგოს, — ასეთი რჩევადარიგებით გააცილა გიო ეზოდან ბაბუა ივამ.

მარტის დამლევი იყო. თოვლი ფერდობებზე კი გამდნარიყო, მაგრამ აქა-იქ ხშირ ტყეში და ვაკე ადგილებშიც ჯერ ისევ სქლად იდო.

რქაფინალას გარდა დედა თხებს ყველას უკვე ჰყავდათ თიკნები — პატარები ბაკში იყვნენ დამწყვედულნი და მთელ დღეს კუნტრუშსა და ონავრობაში ატარებდნენ. რქაფინალასაც დღე-დღეზე უნდა მიეგო...

გიომ ბაბუას ნაჩვენებ ადგილზე მირეკა თხები და იმათაც მაშინვე დაიწყეს რცხილის ნეკერისა და ფითრის ყლორტების კვნეტახრამფნი.

დროდადრო გიო ყვირილს მორთავდა — ეჭე შეი, შე შეი! — ამას მკლების შესაშინებლად აკეთებდა.

მთელი დღე ცა ნახევრად მოღრუბლული იყო. მზე ხან გამოიჭვრეტდა ღრუბლებიდან, ხან ისევ მიიმალებოდა. წინადღით შტოების მონაჭერ ადგილებზე რცხილას წვენი გამოსდიოდა და მინაზე წვეთავდა.

როცა მზე მთის მალლა აშვერილ თავს მიეფარა, გიომ თხებს თავი მოუყარა და სახლისაკენ წინ გაიგდო. მორჩილი თხები მწკრივად მიაბიჯებდნენ. დედებს სავსე ჯიქნები სიარულის დროს ბარბაყებში სცემდათ. რქაფინალა სულ ბოლოში მისდევდა სხვებს, რალც დაღონებულნი და ზანტი ჩანდა. მოტიტვლებული ფერდობი ჩქარა ჩაიარეს. აქ თოვლი უკვე აეღო და თხები თავისულულად დანავარდობდნენ ჯერ ისევ გაუფურჩქვენელ ბუჩქებს შორის. თუ რომელიმე მათგანი გზიდან მოშორებით გაუხვევდა, გიო ომახიანად დასწყვიტებდა და ონავრობის ქვას ესროდა. წინ ტყე ჰქონდათ გასავ-



ლელი. აქ თოვლი ჯერ ისევ სქლად იდო და თხები, თითო-თითოზე გამსკრივებული, გაკვალულ ბილიკს დაადგნენ. რქაფინალა ისევ ბოლოში მისჩანჩალებდა სხვებს. ტყე გაილია და მზისგულა კორდები გამოჩნდა. გიომ ჯერ ისევ შიშველ კორდზე შორიდანვე შეინძნა ენძელეობი. დილით აქ არაფერი იყო და ახლა კი ქორფა მწვანეში ჩამოჯდარი სპე-ტაი თეთრი ყვავილი მოსდებოდა აქაურობას.


— რა კარგი იქნება, დავკრიფო და ხვალ ნინო მასწავლებელს მივართვა, — თავის თავს გაესაუბრა გიო, თან თხებს თვალს არ აშორებდა. აქედან სახლამდე არც ისე შორი მანძილი იყო. ანი აღარაფერი უჭირთო, — დაასკვნა ბოლოს და ბილიკიდან ზევით აუყვა, თეთრ-მწვანედ მოჩითული კორდისაკენ. ენძელეობი მრავლად იყო, მაგრამ გიომ სულ უკეთესების შერჩევა დაიწყო. კარგა დიდ ხანს მოუნდა, ვიდრე მსხვილ კონას შეკრავდა, და მაშინვე თხებს დაედევნა. უკვე სახლთან, ორღობეში მისულთ-ლა დაენია. სახლიდან ბაბუა ივა გამოეგება, ბაბუას გიოს დედაც მოჰყვა ხელში ხის სათლით, თხები უნდა მოეწველა და მერე მთელი დღე ბაკში გამოკეტილი თიკნები დედებთან მიეშვა.

დედამ თხები მოწველა და როცა თიკნები კუნტრუშითა და კიკინით მიეხიენ დედებს, მაშინლა შეინძნა, რომ რქაფინალა არსად იყო.

ადრე გაზაფხულის ბინდი იყო უკვე ჩამოწოლილი. ბაბუა ივამ სახლიდან ფილთა თოფი გამოიტანა და ეზოდან გავიდა, დაღონებული გიოც თან გამყვა.

ორივემ ჩქარი ნაბიჯით იმ ადგილისაკენ გასწია, სადაც იმ საღამოს გიო თხებს ჩამორჩა. თოვლში გაკვალული ბილიკის აქეთ-იქით ყველა ბუჩქი და ნაძვის მოზარდი გასინჯეს, მაგრამ თხა არსად ჩანდა. ამაღამ ტყუილიდა ძებნაო, თქვა ბოლოს ბაბუა ივამ, მგლებს დასაფრთხოზად ორჯერ დაძალა ფილთა და შინისაკენ გამოზბურუნდა. უკან ფესათრეული გიო მოსდევდა.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ბიჭს. როგორც კი როკვარის მთის წვერს დილის სინათლე დაეტყო, ჩუმად გამოვიდა სახლიდან და ნაცნობ ბილიკს თითქმის სირბილით დაადგა. კიი, კიი, კიიი, — მოესმა სწორედ იმ ადგილიდან მიახლოებისას, სადაც საღამოზე ენძელეობი დაკრიფა. თურმე ჭკვიან თხას იქვე ახლოს გაეხვია გზიდან, ერთი კარგად შეზურული და ტოტებით მიწაზე განრთმული ნაძვი შვერჩია, იქვე დაწოლილიყო ნაძვეკუშ და ახლაც იქვე იდგა შორი-



ახლოს, ოღონდ აქეთ-იქიდან ორი მასავით თეთრი თიკანი ედგა და დედის რძეს მაღიანად შეეცვოდა.

გახარებულმა გიომ თიკნებს ხელი დაავლო და ბილიკისაკენ ამოუხვია. რქაფინალა მორჩილად გამოჰყვა უკან. მალე ბაბუა ივა შემოეგება. სიყვარულით გადაუსვა თავზე ხელი შვილიშვილს და ერთი თიკანი ჩამოართვა.

იმ დღიით გიოს არც გაკვეთილზე დაშკვიანებია და საყვარელ მასწავლებელს ნაადრევი ყვავილების კონაც მიაართვა.



ლიცეუმის კონკა

პარლო კობერიძე

ოღოგი

აღბათ ყველას მოგისმენიათ მოლადურის, ანუ „ბიჭო-გოგიას“ გალობა. მოლადური უფრო გაზაფხულობით გალობს — ხილის შემოსვლისას. ისეთი მარჯვე ვინმეა,



თუთა და ბალი რომ დამნიფდება, იმას ვერაინ მოასწრებს პირის ჩატკარუნებას, ეს დაუპატივებელი სტუმარი თეთფურცელ მორთმევეს ხილს, სხვასაც არ ეპატივება ხოლმე! — „თუთა-ბალი შემოსულა, ბიჭო-გოგიაო!“

ასეა: ხილის შემოსვლას და მწიფებას ვეძახით. თუ ჯერ კარგად არ არის დამნიფებული, ამას თვალის შესვლა ჰქვია: თვალი შევიდაო ანდა — შეთვალულიაო.

აყვავდება ვაზი, დაიყვავილებს, გამორჩეობს ბა (მისი მარცვლები ყვავილობიდან გამოსვლისას მართლაც ხორბლის მარცვლებსა ჰგავს, მერე ჩაუდგება წვერი — და ის რიმდე ბა.) ყურძნის დაემნიფების წინ ვიტყვით ხოლმე ფერი და ენმინდაო. ამის შემდეგ სულ ცოტა ხანი გაივლის და ყურძნის მარცვალშიც აციმციმდება მზის სხივი. კარგად დამნიფებულ, მიწვეულ ყურძენზე ვიტყვით ხოლმე დამკრახულიაო.

შემოუსვლელ გოგრას უნდილი ჰქვია, მსხალს, ტყემალს, ალუჩას — მკვახე. მკვახე ყურძენზეც ითქმის. გაიხსნეთ ცნობილი არაკი, მაღლარს, ანუ თალარს რომ ვერ შეწვდა მელია და თავის სანუგეშებლად თქვა:

კარგი ვქენი, რომ არ ვჭამე,
გეფიცებით შვილებსაო:
მკვახე იყო ის ყურძენი
და მომკვეთდა კბილებსაო“.

იმას ვამბობდი: შემოუსვლელ პამიდორს კიდევ შემრეშის ვეძახით. მრეში იგივე ნაბლისფერია, ჰოდა, პამიდორი ნაბლისფერს რომ დაიკრავს, ეს იმას ნიშნავს, სადაცაა ნითლად აღუდღუდდება.

ბალი რომ მოინევა და ნითლად აქანავებს ტოტებს, ამაზე ვამბობთ, ამღერდაო. ხომ მშვენიერი ნათქვამია?

დიდსა და პატარას, ყველას, ყველას ერთნაირი სიყვარულით გვახსოვს იოსებ დავითაშვილის ლექსი „ჯეჯილი“, ვმღერით კიდევაც: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო...“ ჯეჯილი რომ შემოვა, ამაზე ვამბობთ, დაპურდაო. მაგრამ ვიდრე შემოვა ჯეჯილი, ვიდრე დაპურდება და ყანად იქცევა, მანამდე ოდოში ჰქვია. მაშ ასე: ოდოში შემოუსვლელი თავთავია, ოდნავ შემოსული თავთავი კი — ოდოშღერი. შეიძლება ვერ გავისხენოთ, ანდა დაგვიწყნდეს, შემოუსვლელ გოგრას უნდილს რომ ვეძახით, მაგრამ რაკი პურს ყოველდღე მივირთმევთ ოდოშისა და ოდოშღერის უცოდინარობა ნამდვილად არ გვეპატიება.

უნიგნორ

აღბათ გაგეგონიათ
 გიგლა ბიჭის სახელი.
 რა ფუნჯი აქვს,
 რა ფუნჯი...
 რა ხელი აქვს,
 რა ხელი...
 ფუნჯის ერთი მოსმითა
 გიგლა რას არ დასატავს:
 ხანაპიროს,
 მანქანებს,
 მთაწმინდას და
 მასათას...

ერთ რამეში არა ჰგავს
 მაკას,
 ლელას,
 მამუკას,
 წიგნის კითხვას გაურბის,
 წიგნის კითხვა არ უყვარს.
 — სატყა მართლაც კარგია,
 უსათუოდ,
 ნამდვილად,
 მაგრამ, ქვეყნად
 უწიგნოდ
 ვერ არავინ გასრდილა!..



გაიგუნის გაღიასთან

გაღიასთან დამდგარ სოსოს
 ეუბნება ჩვენი ლენა:
 — შენე, როგორ იმანჭება
 მაიმუნი ცეროდენა!
 მეგობრისგან განსხვავებით
 არაფერი უკვირს სოსოს:
 — მაიმუნი მიტომ არის,
 უნდა იმაიმუნოსო.

მხატვარი ლალო ტატიშვილი



თუთიყუშ ფაკოს თავბაღასკალი

გამზაა სალუჰაბაძე

1902 წელი

მთელს ატლანტიკის ოკეანეში
კაპიტან გომეშს იცნობდა ყველა,
მისი ხომალდი — ბრიგი¹ „ვერიკა“²
იყო სამი თვის ვეშაპის ხელა.
გემის ეკიპაჟს წარმოადგენდა
ვინმე მარინო, ზანგი ბებერი;
დაგომეაში³ დაბადებული,
მამით ბუბი და დედით ბერბერი³.
მარინო იყო ბოიც და იუნგაც,
იყო მიჩმანიც, იყო ბოცმანიც,
თან თანაშემწე გემის კაპიტნის
და უმაღლესი რანგის ლოცმანი.⁴
ბებერ ეკიპაჟს სანჩეს გომეში
იმედითა და რწმენით არჩენდა
და მარინოსაც მართლა სჯეროდა,
რომ ატლანტიდას⁵ აღმოაჩენდა.
მოგზაურობის ორი თვის თავზე
გამოიარეს ტოგო და განა,
სადაც ფრანგული გარნიზონები
და ინგლისელთა ჯარები დგანან.
შემდეგ სპილოს ძვლის ნაპირს რომ

გასცდნენ,

ლიბერიაში ამოყვეს თავი;
აქ ბინადრობდნენ ამერიკიდან

გამოქცეული მონები შავი.
მონროვიიდან ბისაუსაკენ,
ფრიტაუნის და კონაკრის გავლით,
მოგზაურებმა გამოიარეს
ორი გვინეა და სენეგალი.
ალ-ჯუმხურეას, ალ-ისლამიას,
ანუ უბრალოდ მავრების მხარეს —
მავრიტანიას რომ ჩაუარეს,
სიცხისგან ცრემლიც ოფლივით ღვარეს.
— ვერ მეტყვი, — ჰკითხა ფაკომ


კაპიტანს, —

რატომ დაჩაგრა ბედმა საჰარა,
რატომ მოხდა, რომ ამ უდაბნოში
ერთი ხე მაინც არ გაახარა.
ვერ კაპიტანმა ფაკოს შეხედა
და გულიანად გადახარხარა,
თუმცე პასუხი რომ ვერ მოიფიქრა,
ბოლოს შერცხვა და თავი დახარა.
მოგზაურებმა, დაახლოებით
რომ გაიარეს მილი⁶ ათასი,
გადაეშალათ თფლწინ მაროკო
და დიდებული მთების ატლასი...
და ატლანტიდის პოენის იმედი
საბოლოოდ რომ გადაეწურათ,
ბევრი იფიქრეს და გადაწყვიტეს
რომ გიბრალტარი გადაეცურათ.
აი გამოჩნდა პორტუგალიაც,
მათ წინ გაიღო ვეროპის კარი
და ლისაბონიც შემოეგებათ

ზედ ოკეანის კიდეზე მდგარი.
აქ, ლისაბონში, სანჩეს გომეშმა
დაიწყო სმა და სულ მთლად გალოთდა,
და თუთიყუშიც შეწუხებული
აღარც ჩხაოდა, აღარც გალობდა.
ჯერ კაპიტანმა მარინო დათმო,
მერე სასმელში გაცვალა ბრიგიც,
და ყველაფერი როცა გაყიდა,
ბოლოს თვით ჟაკოს მოვიდა რიგი.
და რაღაც საწყალ ორმოც ესკუდოდ⁷
მიჰყიდა ჩიტი დოლორეს ტორესს,
ცნობილ ტორეროს⁸, ხარების რისხვას,
ზედმეტ სახელად მემენტო მორეს⁹.


1. ბრიგი — ორანჟიანი იალქნიანი ხომალდი.
2. დაგომეა — ახლანდელი ბენინი.
3. ბუბი და ბერბერი — აფრიკელი ტომები.
4. იუნგა, მიჩმანი, ბოცმანი, ლოცმანი — სხვადასხვა რანგის შეზღვევებები.
5. ატლანტიდა — უმდიდრესი კუნძული, რომელიც, გადმოცემით, კატასტროფული მიწისძვრის შედეგად ოკეანეში ჩაიძირა.
6. მილი — სიგრძის საზომი ერთეული. საზღვაო მილი უდრის 1.85 კმ-ს.
7. ესკუდო — პორტუგალიური ფულის ერთეული.
8. ტორერო — (ესპ.) — ხარებთან მეგობარი.
9. მემენტო მორი (ლათინური) — გახსოვდეს სიკვდილი.

მზაბგარი სოფო კინფრაშვილი



18201

ქალა ერთობაშია



— როგორ გაბედვით ჩემ უნებართვოდ ამ ეზოში შემოსვლა? — ბრაზიანად იყვილა ღობეზე შემომჯდარმა წითელმა მამალმა და ბალახებში მიმოფანტულ ქუქებს თვალები მრისხანედ დაუბრიალა.

ქუქები ისე დაფრთხნენ, გაქცევაც ვერ მოახერხეს, დაზაფრულები შესსკვროდნენ ამ საშინელ ფრინველს.

— დიდი თავხედი ვინმეა! — გალაუჩორჩულა ბოლოშევა დედალმა გულთეთრას — შეილები ახლოს არ გააკარო, უსინდისობის მეტს მაგისაგან ვერაფერს ისწავლიან.

— მე თქვენ გიჩვენებთ, ვინ არის აქ ბატონ-პატრონი. — ერთხელაც იყვილა ბღენძმა მამალმა, ღობიდან აფოფრილი ჩამოფრინდა და ქუქებს დაფრია, ხან ერთს ჩაუნისკარტებდა და ხანაც მგორეს.

— ვაი დედა, გვიშველეთ, ვგზოცავენ! — საცოდავად ქულიპინებდნენ პატარა ქუქები, — რა დავაშვეთ ასეთი, ჩვენ ხომ ახლახან მოგვიყვანეს ბაზრიდან?!

— თავი დაანებე პატარებს! — ბრძანებდასავით გაისმა მეზობელ ეზოდან ინდაურის ხმა, — არ გადმომიყვანო მან!

— ყი... ყი... ღი... ყო... ო... — ახარხარდა მამალი, — გადმოხვალ და ისე გაგატყვნი და გაგ-

პუტავ, პირდაპირ კეცზე დასადებს გაგზდი.


იცოდა, მშვენივრად იცოდა მამალმა, რომ ინდაურის მომრეველი არ იყო, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ მაღალ ღობეზე გადმოფრინის თავი იმას არა ჰქონდა და რაც უნდა ეკადრებინა მისთვის, ხახვივით შერჩებოდა.

ინდაურს სიბრაზისა და შეურაცხყოფისაგან ცხვირი ისე ჩამოუგრძელებდა, ღამის მიწაზე გასთრია, თავადაც ხვდებოდა ღობეზე გადამფრენი რომ არ იყო, მაგრამ მაინც ვერ მოითმინა პატარების ჩაგვრა, უკან დაიხია! რაც ძალი და ღონე ჰქონდა გამოიქცა, ახტა, ფრთებიც გაშალა, მაგრამ ღობეს მაინც ვერ გადასცდა, სარს შეენარცხა და გაბრუებული მიწაზე გულალმა დაენარცხა.

— ხა... ხა... ხა... — ახარხარდა მამალი, — უარესი დღეც დაგადგება, ჯერ სადა ხარ!

— ჩვენი გულისთვის კაცი თავს სწირავს. ჩვენ კი ლაჩრებივით ვიშალებით, — გაწიწმატდა თეთრი ქუქი, — ხომ იცით, რომ ძალა ერთობაშია, აბა ყველამ ერთად დავცხოთ! — მიმართა და-ძმებს და პირველმა შიტიანა იერიში მამალზე.

ალყაში მოექცა მამალი, ერთისკენ გაიწევს, მეორე მხრიდან ჩაუნისკარტებენ, მარჯვნივ მობრუნდება, მარცხნიდან სცემენ. ძალა გამოვლია აქეთ-იქით ტრიალში. მუხლები აუცახცახდა და პატარებისაგან ვალახული მოცელიღივით წაიქცა.





ნოსტრუმან მარინიზა

გამოცანა

ერთი რკინის რაში მყავს,
ოთხ ფეხზეა შემდგარი,
თვალეები აქვს ბრიალა,
გული უცემს მდგარი.
ძერას არ იზამს უჩემოდ—
ამნაირი წესი აქვს,
ხოლო თუკი გაქანდა,
ქარზე უსწრაფესია.



გაოსკან

სოთა ამირანაშვილი

მთელი დღეა ცვინძავთ
ძველ, დაფურცლულ წიგნებს.
რამდენილა დავგრჩა,
დაითვალეო იქნებო
მე ავკინძე ოცი,
თვამ—ორით მეტი,
ზუსტად ჩემოდენი
გააახლა ქეთიმ.
თავიდან კი იყო
ას ორმოცდაერთი.



ჭიქო

საქართველოს ალკე ცკინა და
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერ-
თა ორგანიზაციის რესპუბლიკურ
ი სსბუოს ეურნაში უმცროს-
კლასელთათვის.

გამოდის 1026 წლიდან.
საქ. ცკ-ის გამოცემლობა.

შთავარი რედაქტორი
მანანა ნიშანაძე

სარედაქციო კოლეგია: მღუბარე მამო-
პაძე, ილია ანთოლაძე, ლამარა პა-
პუა, მირი დავითაშვილი, სოლო-
მონ დემურაბანაშვილი, ლილია
მარაძე, ვალა ლოსაბერიძე, მავალა
მრავლიშვილი, გურბა ნადირაძე,
გიორგი რივინიშვილი (სამხატვრო
რედაქტორი), თინათუ ნალაური (პე-
დაგოგი), ვივი მწვალაძე, ვივი მინი-
ნაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,
სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.:
მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-08-15;
პედაგ. მღვინის 93-10-82, 93-08-18; სახ.
რედაქტორის — 93-08-18; გარეუფლ-
ბების 93-08-10; 93-08-17.

გადეცა ასაწუხალ 22. 12. 85 წ. ხელ-
მოწერილია დასახეულად 2. 03. 86 წ.
ქალაქის ზომა 60x90¹/₂, ფიგ. ნაბ.
ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკეთა
3052.

ელაზე ნახატი ირანალი
მარჯანიანი


«Дилла» («Утро»), ежемесячный
журнал ЦК ЛКСМ Грузии и Гру-
зинского Республиканского Совета
Всесоюзной пионерской организации
им. В. И. Ленина для младшекласс-
ников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издатель-
ства ЦК КП Грузии.

Главный редактор Эниер Нижара-
дзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж
168.000. Заказ № 3052.



მტქარაენეს 15 დღე-ღამის სასიარულო აქვს უდაბნოში, რომ ქალაქს მიაღწიოს. ყოველი 3 დღე-ღამის შემდეგ წყალი თუ არ შეხვდა, რომ თვითონაც დაარწყულებს და აქლემებიც დაარწყულოს, გზას ვერ გააგრძელებს. მიეშველეთ, სწორად გაიგნოს გზა.